

რედაქცია და (უკუგზავნის) დღის 10 ს.
2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.
აღრესი თაგად-ზნაურობის სახლი, სასა-
ხლის ქუჩა, № 117.

ზ მ ა

მომავალი გაცემი

გაცემა დღის: 1 წელი . . . 5 მ. — კ.
" " 6 თვე . . . 2 მ. 50 კ.
" " 3 " . . . 1 მ. 50 კ.
" " 1 თვე . . . 50 კ.
ცალკე № " . . . 3 კ.
წლის დამკვეთის . . . 3 მ. — კ.

კ. მარტოვი, ს. ქიქოძე
სახელი, ო. რედაქციის
პ. ლილიაძე

შინაარსი:

1) ჩვენი იდეალი. 2) ფელეტონი. 3) უტუბოთი. 4) რუსეთი. 5) ახალი ამბები. 6) დეპუტატი. 7) ჩვენი ბიბლიოთეკა.

ჩვენი იდეალი.

ჩვენი მტრები, ჩვენი მწამებელი, ჩვენი იდეალური მოწინააღმდეგენი ყოველთვის იმას გაიძახიან აგრეთვე — ანარქისტებს იდეალური სულ არა აქვს, ან თუ აქვს — უტუბოთი, განუხორციელებელი, უსაფუძვლო და აბსურდული. მათ აბსოლუტურად, სრული თაყვანისმცემლობა სურს. — სრული სიბრძნე, — ან განგებ ცილის წამება, ან უმეტრობა ჩვენ თვორიათა და ჩვენ მისწრაფებათა.

ჩვენი იდეალი ძლიერ გამოაკვეთილია, ჩვენი იდეალი უტუბოთი და განუხორციელებელი არ არის, არამედ იგი დამყარებულია სოციალურ მოვლენათა ღრმა შესწავლაზე და აგრეთვე იმ ტენდენციებზე, რომელიც მუდამ ჰქონია კაცობრიობას წარსულში, ეხლა აქვს და გვიხსნავს იმდენ მომავალი ანარქიული კომუნისტებისას.

ანარქისტული კომუნისტების ჩვენი იდეალი. ეს გამოპატარავებული პოლიტიკურა და და ეკონომიურ მხარეთა ჩვენი მომავალი იდეალური საზოგადოებისას.

ჩვენი იდეალია — მთელი დედა მიწის ზურგი თავისუფალ ასოციაციითა მიერ დამუშავებულ ქვეყანას წარმოადგენდეს, როდესაც ყველა საწარმოო იარაღები, ის განუხორციელებელი საწარმოო ენერგია, რომელიც დღეს მთელი კაცობრიობის შემოქმედების ნაყოფია და რომელიც კაპიტალიზმის და სახელმწიფოს წყალობით ერთი კლასის პრივილეგიად გახდებოდა, — თავისუფალ მწარმოებელ კომუნისტებს გადაეცეს, რომ თავისუფალი პიროვნება იმისთანა პირობებში იყოს აღზრდილი, რომ მართლაც შეეძლოს ამოძრავოს როგორც თავისი ნიჭი და ძალა ყოველმხრივად და მრავალფეროვნად, ისე ეს დიდი ბუნების ძალები, რომელიც კაცობრიობამ ისტორიის ეპოქა ვითარებაში დაიმონა და თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

ჩვენი იდეალია სრული კომუნისტური, — რომ თავისუფალ მწარმოებელ კომუნისტში თვითთავად, და-ჯარჯოს რაც შეიძლება ნაკლები ენერგია, ლიკმაყთვილოს კი თავისი მრავალფეროვანი მოთხოვნებიანი

რაც შეიძლება ფართოდ, რომ მან იმუშაოს შეძლების და გვარად და იცხოვროს მოთხოვნებისა და გვერად. ჩვენი იდეალი „თანასწორობა პირობათა“, — ე. ი. რომ ყოველ ადამიანსა ჰქონდეს თანასწორობა შეძლება განავითაროს ყოველმხრივ თავისი ნიჭი, თავისი ძალები, როდესაც მას დღევანდელი 11, 12 საათის მაგივრად დღეში 4—5 საათის მერტ არ დასჭირდება საჭირო საგანთა საწარმოოდ და დანარჩენი დრო დარჩება თავისუფალი შემოქმედების ვარჯიშობისათვის, — მეცნიერებისათვის, ხელოვნებისათვის, სპორტებით დატკობისათვის მეგობართა და საყვარელ ადამიანთა შორის.

ჩვენი იდეალია ხალხთა შორის საზღვრებისა, ომისა და მტრობის მოსპობა, მის მაგივრად თავისუფალ მწარმოებელ კომუნისტთა თავისუფალი ფედერაციის დამყარება მთელ ქვეყანაზე, სადაც უფრო და მტრობა აღარ იქნება ხალხთა შორის, არამედ საერთა-შორისო ძმობა და ერთობა, საერთო, მსოფლიო ბრძოლა ბუნების პირობათა წინააღმდეგ.

ჩვენი იდეალია თვით კომუნისტში ყოველ უფროს-უცხოელის მოსპობა, მოსპობა მთავრობისა, კანონისა, საეკლესიო დოგმატთა, — სრული თავისუფლება პიროვნებისა, თანასწორობა პიროვნებათა შორის, საერთო ფართო სიყვარული და პარმონია მათ მისწრაფებათა შორის, და არა რაღაც „აბსოლუტური თავისუფლება“. ჩვენი იდეალია მეცნიერება, რომელიც დღეს ერთ მუქა ბედნიერება პრივილეგიას შეადგენს, ყველას ხელ-მისაწვდომად გადმოეცეს, მართლაც გახდეს ადამიანის ხელ-მძღვანელად, ადამიანის დამხმარედ ბუნებასთან ბრძოლაში, ადამიანის მანუგეშებლად მის მწარე წუთებში, ადამიანის მამოძრავებლად და სულის ჩამდგმელად, — მეცნიერება თავისუფალი და თავისუფალი პიროვნების იარაღი მის მრავალფეროვან მოქმედებაში. ჩვენი იდეალია, რომ ხელოვნებამ მუდამ აძლიოს ადამიანის სულსა და გულს დაუშრეტელი ცეცხლი, რომ იგი იყოს დაუშრეტელი წყარო მოქმედებისა და უფრო ფართო იდეებისაკენ მისწრაფებისა, წყარო მისი სიტკბოებისა და მედნივი იმედისა.

ვისაც შესწევს მეცნიერული ცვლვის ნიჭი, — დაე მან აღმოაჩინოს ბუნების საიდუმლოებანი, ვისაც ცეცხლი უღვივს გულში შემოქმედებისა და წმინდა, დიდი სუ-

ლი მშენებლებისა მუდამ თავს დასტრიალებს, — დაე მან დახატოს დიდი სურათები, და ზღვასავით მღელვარე ენებანი, დიდი იდეალი — ხელოვნების მრავალფეროვანი ფორმით. დაე მართლაც იმანა სწეროს და მსხვერპლი სწიროს პოეზიის მუხას, ვისაც იმედი აქვს თავისი შემოქმედით ააღვლოს თავისუფალი და გემოვნება განვითარებული ადამიანის ყველა სიმები გულისა. დაე-ვისაც ქვეა-ქუხილით, ან ნაზი და მშენებელი სიტყვებით შეუძლია გამოხატოს რომელიმე იდეა, ან საზოგადოების ამაღლებელი აზრი, — დაე მან დაიდგას ტრუმბა და ილაპარაკოს ხალხის წინაშე, — თავისუფალ და მეცნიერ პიროვნებათა წინაშე, თუ თავისი სიტყვის ძალასა და სიმშენებლურ თვითონვე გრძნობს. დაე, მეცნიერებამ ხელოვნებამ აღამაღლონ ადამიანი, განაკეთოლშობილონ იგი, აღაფთოვანონ და მისცენ ენერგია მუდმივი მოძრაობისათვის, მუდმივი მოქმედებისათვის, — დაე იგინი გარდაიქცენ მის „სარწმუნოებათა“, არა მათი თაყვანის საცემად, არამედ სულის ჩამდგმელად, განსაკეთოლშობილებლად, ზნეობის აღსამაღლებლად.

აი ჩვენი იდეალი. დაე დღევანდელი დამონებული ადამიანი მაგივრად გაჩნდეს თავისუფალი, საზოგადოებაში ნამდვილი კაცი, ნამდვილი ზნეობრივი არსი სრული უფლებით, რომა სიტყვას: მე ვარ გარდავინი მსოფლიო შემოქმედების, რადგანაც სრულიად ვრცელ ჩემი ადგილი ბუნებაში! — და როდესაც კერძო საკუთრება, კლასები, სახელმწიფო, საზღვრები და საბა-ეოები, კანონი და მსაჯული, ჯალათი და ციხეები მოისპობა, როდესაც საზოგადოება გაიწმინდება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მოგროვილი ტალახისაგან, როდესაც კომუნისტში განხორციელდება წარმოებაში და ანარქია საზოგადო ცხოვრებაში ინდივიდთა თავისუფალ კავშირში და თავისუფალ კომუნისტთა თავისუფალ კავშირში და თავისუფალ ფედერაციითა, — ყველა ეს დიდი სოციალური რევოლუციით, — მაშინ შევუდგებით ნელ-ნელა იმ დიდი იდეალის სრულ განხორციელებას, რომელიც „კაცს“ „ადამიანობისაკენ“ წარიტაცებს.

სულეიმან ეფენდი.

უცხოეთი

საზარაზეთი. ოთხი ხუთი წლის წინ ევროპის ყველა სახელმწიფოებმა კავშირი შეკრეს ანარქიზმის წინააღმდეგ საპროლეგალ მაგრამ როგორც დღემდე ჩანდა ეს ფიზიკური ძალის კავშირი წინააღმდეგ, რომელიც აერთებს ანარქისტებს; მიუხედავად ამ ანარქისტულ კავშირისა, რომელიც შეკრეს მთელი ევროპის რეაქციონერებმა და რომელსაც ხელს უწყობს, თავისი ჯიუტი უფრო-ბით სოც.-დემოკრატია ანარქიზმი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ეს ჩანს საფრანგეთის სინდიკატურ მოძრაობიდან და იმ გაფიცებებიდან, რომელიც მოხდა ამ დღეებში პარიზში და პროვინციებში. ამ მოძრაობით იძულებული, რამოდენიმე ემიგრანტი ჩაივინდნენ ინგლისში, სადაც ანარქისტებს არ სდევნიან ისე უსინდისოდ, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოში, რადგან ინგლისური თავისუფლება მეტად თუ ნაკლებად იძლევა საშუალებას თავისუფალ პროპაგანდისა, მიტინგების გამართვისა, კავშირების დაარსებისა, გაფიცვისა და სხვა. ევროპის სახელმწიფოების კავშირში ანარქისტების წინააღმდეგ ინგლისმა არ მიიღო მონაწილეობა, რადგან ეს არა თუ უნაყოფო დაინახა, არამედ პოლიტიკურ ბრძოლის უტაქტობად დასახა და უარყოფა დევნა. მაგრამ ესლო როდესაც საფრანგეთიდან ამ დღეებში რამოდენიმე გამოკვეთილი ემიგრანტები ჩაივინდნენ, დეპუტატმა გოვენ ვინსენტმა შეკითხვა პარლამენტში შეიტანა საქმეთა მინისტრს გერმერტს: აპირებს თუ არა მთავრობა დაგვიცას ანარქისტებისაგან. მაგრამ მინისტრმა უპასუხა ამ პარლამენტალურ, „არღანს“, რომ განსაკუთრებული კანონების გამოცემა ანარქისტების წინააღმდეგ არ არის საჭირო. რა საკვირველია ინგლისის მთავრობა მიმხედარია, რომ ყველა ჩემეტას მთავრობის მხრით მოსდევს კენა ანარქისტების მხრით, რომ თუ მთავრობამ დაჰკარგა თავი და დევნა გააძლიერა. მაშინ ამით ის უფრო აძლიერებს ანარქიზმის პროლეტარიატის და ჩაგრულ ხალხისას.

გერმანია. როგორც ჩანს გერმანიაში იწყება სოციალური გრი-გალი, მაგრამ არა ს.-დემოკრატების პარლამენტალურ „არღანს“ ყალბობით არამედ მუშათა პროუ-

სიონალური ორგანიზაციების ზარდახარა მოქმედებით გერმანიაში არსებობს ლითონთა სადნობი (მეტალურგიული) მუშაობა ქარხნის პატარონთა და მეორე მხრით ლითონის მუშაობა კავშირი.

ერთი მხრით ქარხნის პატარონები წარმოადგენენ უზარმაზარ ეკონომიურ ძალას და პოლიტიკით ზურგ გამაგრებულია. მეორე მხრით მუშები წარმოადგენენ იდეურ კავშირს და უზარმაზარ ზნეობრივ ძალას და თუ საქმე მოითხოვდა 300,000 მებრძოლ წევრს მწარმოებელთა კავშირისას. მუშათა კავშირის 1905 წ. ანგარიშით ჩანს, რომ პარტია საწევრო გადასახადი შეადგენდა 4/5 მილიონ მარკას და მთელი შემოსავალი კი 6 მილი. მარკ. უდრიდა. გერმანელი ლიბანები ძლიერ გულამდგრეული უტყვირდენ ამ კავშირის თანაზიარობისას, ამ სიმდიდრეს დატყვისას და მათ რიცხვს, რომელიც მათთვის ხიფათს წარმოადგენდა. ამ კავშირის მუშებმა წარუდგინეს თავისი რამოდენიმე ეკონომიური მოთხოვნები: ქალაქებში დრეზდენში, ბრაუნშვეიგში და ბრესლავეში თავიანთ ხაზბა და გაუმძღარი მეტატრონები. ამ მოთხოვნის პასუხად მეტარხნებმა დაითხოვეს სხვა-დასხვა ადგილის 6000 მუშა. ამ დათხოვის პასუხად მუშებმა გაფიცვით უპასუხეს, გაფიცვამ ექვს თვეს გასტანა და ამან კიდევ უარესად გააძაბა ლიბანები. ერთ დღეს ბრესლავეში ქარხნებიდან გამოდიოდნენ „თავის ნებით“ მომუშავენი, რომლებსაც გაფიცულ-

მა ამხანაგებმა უშტეინს დაკინებით შეხედნენ, ძალადობა კი წინააღმდეგ არ უხმარიათ. მაგრამ მიუხედავად ამისა მშვიდობიან გაფიცულებს მიესია პოლიცია, დაუწყა ცემა და ბევრი დასკრეს. ამან მთელი მუშა ხალხის და მოწინავე საზოგადოების პროტესტი გამოიწვია და ბრძოლა თანხის და შრომის კაპიტალისტების და მუშების კიდევ უფრო გააქცევდა. კაპიტალისტებმა მოინდომეს უკანასკნელი გენერალური ბრძოლა გამოეცხადებინათ და გამოაცხადეს, რომ თუ დრეზდენის, ბრესლავეს და ბრაუნშვეიგის გაფიცულები მუშაობას არ დაიწყებენ იმ შემთხვევაში დაითხოვენ 320,000 შეკავშირებულ მუშას ე. ი. გადაურიან 320,000 კაცს იმ საზოგადოებრივ, ხომალდიდან, რომელიც ამ მუშების ხელების შექცენილია, სიმშვიდის და ტანჯვა წყალების ზღვაში.

მაგრამ ამ შექარამ იმ კაპიტალისტებისა, რომელთაც გულის ადგილას ვერცხლის მანეთიანი კლიდია, ვერ შეაშინა ზნეობრივად და იდეურად მძლავრი მუშა ხალხი. მაგრამ ამოდენი მუშა ხალხის დათხოვას, რომელიც 10 მაისს უნდა მოეყვანა სისრულეში მოკვება ის, რომ თითქმის გერმანიის მთელმა პროფესიონალურმა კავშირებმა დაუჭირა მხარი და მათ დათხოვასთან გერმანიას მოელოდა ის ზარდახარა მოქმედება, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ანარქიზმის სახელით ნათლავს და როდესაც დადგა დღე განსჯა-გაკითხვისა, 10 მაისი, რომელსაც

უნდა აღენიშნა გერმანიაში ის დიდი ანარქისტული სათვლა გერმანელ გასოციალ.—დემოკრატებულ და დამძინებულ პროლეტარიატისას, რომელიც სოციალ-დემოკრატის კაპიტანების, მიორების და გენერლების თაოსნობა მოკლებულ სალდათებად გახდარა, აი ამ დროს დაიწყეს ლიბანებმა პოლიტიკური ომის გაყრის დოღების ცემა. გამოაცხადეს, რომ ომი თვის ბოლომდე გადავდევით.

ენახოთ რა მოხდება.

რუსეთი.

პეტერბურგის გაზეთი „რუს“ გადმოგვცემს: ამ ბოლოს დროს პეტერბურგში ძლიერა ვრცელდება ხმები რომ დ. ფ. ტრეპოვის რჩევით წინააღმდეგ მიეცათ გუბერნატორებს, რათა მათ აფშლებინათ ადგილობრივი რეპუბლიკური პარტიები, მიემართათ ხელმწიფე იმპერატორისათვის უშეგერდომელობის ადრესით გამოეცხადებინათ თავიანთ უქვეშევრდომილესი გრძობანი და თხოვათ—არ დათანხმდეს ამნისტიზაციას და არ გამოუშვას რუსეთის ამრევ დამრვეი „კრამოლნიკები“.

ამ დღეებში დასრულდა მესამე შემარტებელი კრება რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

კრებას 150 კაცი დაესწრა, როგორც დელეგატები ისე წარმომადგენლები და სტუმრები, აგიტატორების, პროპაგანდისტების გა-

ნაკიდ მოღვაწეების (პერი ფერინიხე რაბოტნიკი) და პარტიულ მწერლებსაგან. კრებაზე წარმოდგენილი იყვნენ ლატვია, პოლონეთ-ლიტვითა, უკრაინელთა და ებრაელები (ზუნდი) ს.-დ. პარტიები. უმთავრესი განსახილველი კითხვები იყო აგრარული კითხვა და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ტაქტიკური კითხვა.

რადგან ცოტა არ იყოს ს.-დემოკრატია ჩაფიქრა გლეხების განსხვავებულმა გადაწყვეტილებამ აგრარული საკითხის შესახებ, გადაწყვეტილებამ, რომელიც არ ჰგავს ს.-დ. პარტიის გადაწყვეტილებას, ამიტომ ამ კითხვას დიდი ყურადღება მიაქცეს. რადგან აზრები აგრარული კითხვის შესახებ ძლიერ ბევრი, სხვა და სხვა იყო და ერთი მეორის წინააღმდეგ, ამიტომ ის ფრაქციულ ნიადაგზე გადაიტანეს და მიიღეს მასლოვის წინადადება, რომელიც დამყარებულია მუნიციპალიზაციის პრინციპზე (ნუ თუ ეს სოციალისტური სარბიელია? ჩვენ არ გვერინა). ლენინის წინადადება მიუხედავად ნაციონალიზაციის შესახებ არ იქმნა მიღებული. რაც შეეხება დღემის ბოიკოტს კრების აზრით „მეუმრავლესეთა“ იმელები არ გამართლდენ.

ასურდის აღმატებულმა იქამდი მიადწია ამ კრებაზე, რომ გამოტანილ იქმნა რეზოლუცია, რომელიც სახელმწიფო საბჭო არ იქმნა ცნობილი, როგორც ორგანო სახელმწიფო ძალისა, ამიტომ პარტიამ უნდა ისარგებლოს საბჭოთა აგიტაციისათვის. მაგრამ

ფელეგონი

მცირე მოგონება 1848 წ. მოძრაობიდან და მწარე ფიქრები კამბრაუზის ღმრავა.

გაგრძელება *).

ცხოვრება აუტანელი შეიქნა, პერი დამძიმდა, აივსო სხვა და სხვა ბაქოლებით. ამ პერიის გასაწმენდათ, სუნთქვის გასაადვილებლად საჭირო იყო აუცილებლად ძრიელი ქარიშხალი, რევოლუციის ალი. ლიტერატურის და ფილოსოფიის საქმე შემდეგ მდგომარეობაში იყო: „ხელ-ახლა მიიღო სერიოზული ხასიათი ნემეკურმა ლიტერატურამ, როდესაც რადიკალურმა ფილოსოფიამ დაიწყო ძველი ნაშთებისაგან ცხოვრების წმენდა. დავით შტრაუსი გამოვიდა წინააღმდეგ ქრისტიანულ სასწაულებსა, აღდგო ფეიგბახმა აღიარა ღვთის არსება კაცის არსებათ, ბრუნო ბაუერმა კი ახალი ალთქმა გაატარა ძრიელ მწვავე კრიტიკის ქარ-ცეცხლში. ფართო გაფლენა მოიპოვა მკაცრი შტირნერის ფილოსოფიურმა რადიკალიზმმა, რომელმაც შექმნა თავისებური ფილოსოფია ანარქიზმისა და რომელმაც

ეგოიზმი მსოფლიო კანონათ აღიარა...*) ამას გარდა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ ისეთი პირები, როგორიც არიან არნოლდ რუჟე, პოეტი ჰერვეგი ჰეინეებრენ და სხვ. ცხადია, ხალხისთვის სასურველი იყო, როგორც მეტერნისის სისტემის კისრიდან მოშორება, ისე კუქის გაძლიება. ამ ორი საჭიროების ერთიერთმანეთისაგან დაკილება შეუძლებელი იყო. ერთი სიტყვით პოლიტიკური და სოციალური რევოლუციის მოხდენა ერთი ერთმანეთზედ იყო გადაღებული. მხოლოდ ეს სურვილი პოტენციურად იყო ხალხში და მისი ნათლად შეგნება და მოთხოვნა ხალხისათვის ადვილი საქმე არ იყო. სწორეთ ამ დროს 12 იანვარს 1848 წელს ამოვარდა რევოლუციის ქარიშხალი სიცილიის უმთავრეს ქალაქში პალერმოში და შემდეგ კი მთელი სიცილიის უნძოლი მოიარა. სულ მცირე ხნის განმავლობაში გამწმენდელი ალი რევოლუციისა იქნა გადატარალი საფრანგეთში, აქედან კი ბავარიაში

**) „Die deutsche Revolution“ Wilhelm Blos ეს ნეტატა მომეგეს ბლოსის ცნობილ თხზულებიდან. გვ. 34. თარგმანი თავისუფალი.

და მალე ალი მთელ ავსტრია-უნგრეთს და გერმანიას მოედო. პირველათ საქმე კარგათ წაიდა. ხალხმა სიცილიაში გაიმარჯვა, საფრანგეთში ლუი-ფილიპე განაყვეს, ავსტრიაში ფერდინანდ პირველმა ინსბრუკს შეაფარა თავი; არც ვილჰელმს ქონდა კარგათ საქმე. საფრანგეთში ხალხმა თავის ბედობალი მიანდო დროებით შემდგარ მთავრობას, რომლის სათავეში იყვნენ პოეტი ლამარტინი, ლუი ბლანკი და მუშა, სახელდობრ ალბრეტი. შეადგინეს ფრეთ-წოდებული მუშათა პარლამენტი და დაიწყეს ბჭობა ლუკსემბურგის სასახლეში. რევოლუციის საქმე ე. ი. სრული ეკონომიური და პოლიტიკური მუშა ხალხის განთავისუფლება სწორედ მაშინ უნდა ჩაითვალოს, თუ სულ არა დადებულათ, ყველ შემთხვევაში რამოდენიმე წლით გადაღებულათ, როდესაც ამ მუშათ პარლამენტში ზემო დასახელებულმა პირებმა დაიწყეს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა მიეცეს ყველ მუშას უფლება შრომაზე; (Vorparlament in Frankfurt) მაშინ, როდესაც დასახელებულმა პარლამენტმა არ უარყო ძირითადი უფარგისობა კაპიტალიზმისა და მოკვება ახალი კანონების გამონახვას, რევოლუცია

უნდა ჩაითვალოს გათავებულიათ. რა მოკვება საფრანგეთში მუშათა-პარლამენტს ყველამ კარგათ იცის. გერმანია და ავსტრია-უნგრეთში, როდესაც მთავრობამ შეატყა, რომ მისი საქმე ცუდათ მიდის, მომართა მორიგებას. ფერდინანდმა და ვილჰელმმა გამოცეს მანიფესტები, სადაც აცხადებდნენ კონსტიტუციას. გაიმართა მისვლა-მოსვლა, სეირნობას დეპუტატების „შენბრუნის“ სასახლეში დასასრული არ ჰქონდა. ბრძოლით მოქანცული ხალხი შესტყვროდა დეპუტატების ფაცაფუსს და დაუსჯელათ სტოგებდა ყველა მათ უზგავსებას; ბოლოს ხალხის წარმომადგენელნი (511) შეიკრიბნენ ფრანფურტ-მაინც და შეადგინეს ფრეთ-წოდებული ცნობილი ფრანკფურტის წინაპარლამენტი, რომლის მსგავსი თავის Parliament დანიშნულებით და სამწუხაროთ, შეიძლება თავის შედეგებითაც სრულიად იქმნეს ეხლანდელი პეტერბურგის ღმრ. დიდი ამაბით მიიღო ხალხის წარმომადგენელნი ფრანკფურტმა. კრება გაიხსნა პავლეს ეკლესიაში, დემკობარეობდა ღრმა, მკოდნე იურისტი კარლ შტიტერმაიერი. წარმომადგენელების შორის იყვნენ სხვა-დასხვა პარტიების კაცები.

დუნახავს რამოდენიმე კაცი ერთი ქანდარმის ფორმაში და დანარჩენიც ყაზახის ტანსაცმელში. ქანდარმის ფორმაში ჰქონდა კაცი ყოფილა. უკანასკნელს შეუტყობინებია იქიბაბანოვისათვის, რომ ისინი მთავრობისაგან სახლის გასაჩხრეკათ მოსულნი არიან. იქიბაბანოვს გაუღია დუქანი და ნება მიუცია გაჩხრეკისა. ჯერ დუქანი გაუჩხრეკიათ, რომ აქ არა უნახავთ რა, სახლის მეორე კართელში ასულან, სადაც იქიბაბანოვს ოჯახობა ნაცხოვრება. სახლი გაუჩხრეკიათ; გაჩხრეკის დროს უნახავთ კასსა. იმათი ბრძანებით, მასპინძელს გაუღია კასსა. ერთს ყაზახის ფორმაში მოსულს ხელი უტაცნია კასისათვის, რომელშიაც 1000 მან. ყოფილა; გამოუღიათ აგრეთვე ერთი 500 მ. სამიც 100 მ. ოქროს და ვერცხლის ფული და მიმაღულან.

— 8 მაისს. შინდისიდან მომავალს ისაკ ტერტეროვს ბოტანიკურ ბაღის ზეგნით თავს დაესხნენ სამი კაცი. ბოროტ გამზრახველებს ტერტეროვი წაუტყვევიათ, ჩოხა გაუჭმრიათ, ხუთი მანეთი წაოტყემევიათ და გაქცეულან. პოლიციას ორი მძარცველი შეუპყრიათ, რომელთაგან ერთი თბილისის მაზრის მცხოვრები ანდრია გოგიძე ყოფილა და მეორეც ჯაშუშის მაზრის მცხოვრები ნიკ. კაშიშვილი, მესამე კი პოლიციას ვერ შეუპყრია.

— გუშინ რევოლუციით მოჰკლეს
კავკასიის რკინის გზის სახელოსნო-
ების უმფროსი ლეფტენანტი, მკლე-
ლები მიიშალნენ.

ნის გზის მოსამსახურენი და ერთი
სადგურის უფროსის თანაშემწე.

მკაბერიძის სახ. გ. გაანთ-
ვისუფლეს პირველ მაისს ატყუა-
ლებული 22 პოლიტიკური დამნა-
შაეები.

მოსამკვი. 10 მაისი. შიშოვმა უარი განაცხადა 17 ოქტომბრის კავშირის კომიტეტის თავჯდომარეობაზე. ღ უარს ამბობს იმ გაერცელებულ ხმებზე, ვითომ ის გამოდიოდა კავშირიდან და გადადიოდა კ. დემოკრ. პარტიაში. 10 მაისს გაიფიცენ 800 მუშა; ქირის მომატებისათვის და რამდენიმე მოხელეს გაგდებისათვის. გაგზავნილია ჩრდილოეთისკენ 3000 პოლიტიკური დამნაშავენი.

ფოდოსია. 10 მაისი. დროებით გენერალ-გუბერნატორმა დახურა გაზეთი „ჩიზნ კრიმა“

[illegible]

ბაშკენტი. 10 მაისი. აღმოჩენი-
ლია საიდუმლო სტამბა; დატყვევ-
ებულია სამი კაცი ყალბი პასპორტი-
სათვის.

სმოლენსკი. 10 მაისი. ამორჩეულია წევრი სახელმწიფო სათაბიროში სამღვდლოების წოდებისათვის. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ენგოგრაფტი, ლიბერალი.

ნაშრომით. 10 მისი ეკატერინბურ-
გის სატუსალოდან გაგზავნეს 10 გლე-
ხი სიბირში და არხანგელის გუბერ-
ნიებში აგრარულ მოძრაობაში მო-
ნაწილოების მიზნითათვის.

კავლოზბრადი. 10 მაისი. სოფ.
მაროზოვკაში მოუკლავთ დედა-შვი-
ლი კლასონისა, ცოლი უკანასკნე-
ლის მიიმედა დაქრილი.

გახილუვსკი. 10 მაისი. გაანთავისუფლეს 5 გლეხი, აგრარულ მოძრაობის დროს დაქვრივნი.

პოლტავა. 10 მაისი. ჟანდარმ-
თა ქუჩაზე იპოვნეს უცნობი ყელ-
გამოჭრილი კაცი.

ზრისტიანი. 10 მაისი. დღეს გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი გენრიკი.

მკათმერინოსლავი. 10 მაისი.

გუბერნატორის განკარგულებით გამოუშვეს ექვსი კრანფელდი და კუში, რომელნიც იზავენბოდნენ დასავლეთ გუბერნიებში.

სიზრდანი. 10 მაისი. სოფ. მა-
ლია-რიაზანში გადაიწვა 100 კომ-
ლი.

პატივგაშუკი. 10 პისი. სახელ-
მწიფო საბჭოს წევრების ჯგუფმა
ტრუბეცკინის მეთაურობით გადი-
სწყევტა პირველ კითხვად წამოყე-
ნება, აგრარული, საგლეხო და სა-
ბაო საკითხებისა. და მისცეს განცხა-
დება საბჭოს თავმჯდომარეს წინადა-
დებით: დაარსონ შესაფერი კომი-
სია.

ხრისტიანია. გარდაიცვალა გენ-
რიხ იბსენი.

ადმსა. დატუსაღებულია ნ კაცი
და სამი ქალი, რომლებზედაც ეჭვი
აქვთ, რომ აშაღებდნენ ასაფეთქე-
ბელ მასალას.

გელსინგფორსი. გელსინგფორსში და სხვაგან ფინლიანდიაში გაიმართა დემონსტრაციები „წითელ გვარდის“ მიერ მიმართული სენატში შეტანილ წინადადების გამო სახალხო წარმომადგენლობის რეფორმისა. პროცესიაში მონაწილეებს იღებდა 15000 კაცი. სენატის მოედანზე ორატორების მიერ წაითხულ იყო რეზოლიუციები, რომელშიაც გამოთქმულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სენატი მთავრობის წინადადებაზე დაიხვეს კონსერვატიულ მიმართულებისაკენ ან სრულიათ გააუქმებს რეფორმას, მოჰყვება გენერალური გაფიცვა. თუ მთავრობის წინადადება შეუცვლელად იქნა დატოვებული, მაშინ სენატი პოლიტიკურად თავს მოიკლავს და გაუშვებს უკანასკნელ შემთხვევას, რომ მიეცენა წარმომადგენლობითი წესი მშვიდობიან ბოლომდე. დემონსტრაციაში მონაწილება მიიღეს რუსების ჯგუფმა წითელი დროშებით ზედწარწერით: „გაუპიჯაროს სოციალიზმს“. სილყვები იქნა წარმოთქმული რუსულ, ფინურ და შვედურ ენებზე. წეს-რიგი ყველგან სამაგალითო იყო.

პაპიაშვიდი. 10 მაისი. სრული პოლიტკუმი ამნისტიის კითხვა, აღძრული სახელმწიფო სათათბიროში და მოთავსებული სეფე სიტყვის საპასუხო აღრესი, რომელსაც უკერდა მხარს ხალხის რამდენიმე ნაწილი, არ ზედვან შესაძლებლად მაგის განხორციელებას, რახან სხვა-და-სხვა ტერორისტთა ჯგუფები ასრულებდნენ პოლიტიკურ მცოდნეობას. ყოველი

დღე დეპუტეტი მოდის სხემ და სხვა მოსამსახურეთა მკელოლობის და გაცარცვის შესახებ. ამისათვის მთარობას არ შეუძლია, რომ არ ადენოს თვალ-ყური და პასუხის გებაში არ მისცეს ტერორისტები. არ შეუძლია განარაიგსუფლოს დასჯისგან პოლიტიკური დამნაშავენი, რაც შეეხება აღმინისტრაციულ წესით დატუსაღებულთ, ბევრი იმათგანი განთავისუფლებულია. დანარჩენი მიზნების გამოკვლევის შემდეგ განთავისუფლებბ.

მორღნეთი. 10 მაისი. ორმოც-და
ხუთის მეტი პოლიტიკური დამნაშა-
ვე გაანთავისუფლეს.

ტულა. 10 მაისი. გაანთავისუფ-
ლეს ორი პოლიტიკური დამნაშავე.

მორიხე. 10 მაისი. გაანთავი-
სუფლეს 8 პოლიტიკური.

პურსპი. 10 მაისი. ქალაქის თავ-
მა დღეშეა გაუგზავნა მურომეცეს,
რომლითაც აცნობებს, რომ ქ. კურს-
კის ამომრჩეველების კრება ერთ სე-
ლოვანად უერთდება სათათბიროს.
საპასუხო აღრქეს.

მაი 10. უკიდურეს მემარჯვენეთა პარტიის წევრების შორის იმართება აგიტაცია, სიკვდილით დასჯის დაცვისათვის სასარგებლოდ. ამნისტიის წინააღმდეგ იმართება კრებები, რომლებზედაც ორატორები თხოულობენ, სახელმწიფო სათათბიროს დაშლას და დიკტატურის შემოღებას.

ჩვენი გიგლიოტეპა:

ॐ नमो भगवते वासुदेवाय :

Кропоткина: Ръчи бунтовщика.
его же Завоеваніе хлѣба.
его же Взаимная помощь.
его же Промышленность
фабрично-завод-
ская и земле-
дѣліе.

სამი პირველი პეტერბურგის გა-
მოცემა, უკანასკნელი კი მოს-
კოვის

Земля и Человѣкъ Е. Реклю.
გამოდის რვეულებად, რვეული
75 კ., სკოლ ღირს 30 მან.

१५६०५३५८:

ნობათი ყოველ კვირეული.
ოქმები ჟენევის კონტერენციისა.